ЛЕЛО

№ 20 (6581)

29 1980 წ. იანვარი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

ობიექტივშია ზუგდიდის რაიონის სოფელი რუხი

პროფკავშირთა ბიბლიოთეკა

სოფელ რუხის მშრომელები და ფიზკულტურელები ერთ-ერთი მოწინავენი არიან როგორც ზუგდიდის რაიონში, ისე მთელს რესპუბლიკაში.

იმის შესახებ, თუ სოფელ რუხის კოლმეურნეები, მოსწავლეები და ფიზკულტურელები როგორ უხამებენ ერთმანეთს შრომას, სწავლასა და სპორტს, მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე.

●

სურათებზე: რუხის ციხის ნანგრევები; რუხის საშუალო სკოლის მოსწავლეები დიდ დასვენებაზე.

ა. გურასაშვილის ფოტოები.

ტრადიცია თავისას ითხოვს

უკვე მერამდენედ მესმის — ქუჩაშიც, ავტობუსშიც:

— მოდიხარ ჭიდაობაზე?

— რა ვიცი, ვნახოთ.

— ლევანი ჭიდაობს.

— ეე, მაშინ მოვდივარ!

სპორტის სასახლის მისადგომებთან მილეთის ხალხი ირევა. სალაროებთან გრძელი რიგი დგას. გუშინ არ იყო ამდენი ხალხი. გუშინ ლევანი არ ჭიდაობდა — თავისუფალი იყო. დღეს იჭიდავებს.

როგორ ფორმაშია ნეტავ?

მატე, იარიგინი, მაგომედოვი... გაუჭირდება. რამდენი ხანია, ხალიჩას არ გაჰკარებია და გაუჭირდება, რა თქმა უნდა.

...გამოჩნდა. დიდი და პატარა თან აედევნა. ტრიბუნას ტაშის ექომ გადაუარა. უნებლიედ იქითაკენ გაექცა თვალი. ბიჭი ხარ და ეუ იჭიდავებ! მაინც რამდენი ხალხი მოსულა... ეჰ, ტრავმა, ტრავმა. რა დროს ეგ იყო.

• • •

ნებისმიერ შეჯიბრებას თავისი ფავორიტები ჰყავს. თუმცა სპორტში პროგნოზები ერთობ საჩოთირო საქმეა — სინამდვილეში შეიძლება მოვლენები სხვაგვარად დატრიალდეს. მჩატე წონაში გამარჯვებას ტელმან ფაშაევსა და იარგი შუგაევს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ... ამერიკელმა ჯინ მილზმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ორივე ფავორიტი წმინდად დაამარცხა და ქვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მილზმა ვადაზე ადრე გაიმარჯვა წინასწარ შეხვედრებშიც და 0 საჯარიმო ქულით დაამთავრა შეჯიბრება. შთამბეჭდავი გამარჯვებაა!

საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი იური შახმურადოვი შეფიქრიანებული ჩანდა:

— მილზი შეუდარებელი იყო. იგი ოლიმპიადაზე გამარჯვების უდავო კანდიდატია. საერთოდ, ამერიკელებმა მშვენიერი გუნდი ჩამოიყვანეს თბილისში. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს რუმინეთის, მონგოლეთისა და კუბის მოჭიდავეებმა. ერთი სიტყვით, ნათლად გამოჩნდა, რომ მოსკოვის სტარტებისთვის ყველა გულმოდგინედ ემზადება.

საქართველოს ნაკრებზე ჩამოვუგდე სიტყვა.

— შარშანდელ ტურნირთან შედარებით პროგრესი იგრძნობა. ის შედეგი, რაც თქვენმა მოჭიდავეებმა აჩვენეს, ნებისმიერი სხვა რესპუბლიკის წარმომადგენელთათვის წარმატებად ჩაითვლებოდა, მაგრამ... დარწმუნებული ვარ, ჩემი ქართველი კოლეგებიც ასე ფიქრობენ — ტრადიცია თავისას ითხოვს, ტრადიციას არ ეღალატება. გულშემატკივრებმა, რა თქმა უნდა, უკმაყოფილოდ დატოვეს ტრიბუნა. ისევ ნაცნობი სახელები... თბილისში ყოველთვის იმედით ჩამოვდივარ, მაგრამ გულახდილი თუ ვიქნები... ალბათ გამიგებთ — ნაკრები ღირსეულ შევსებას ელის საქართველოდან. ვფიქრობ, ხვალ და ზეგ ეს მოხდება, მაგრამ დღეს?

ქართველ მოჭიდავეებზე ქვემოთაც გვექნება საუბარი. ახლა კი ისევ შეჯიბრების მსვლელობას მივადევნოთ თვალი.

გამარჯვებაზე ნებისმიერი სპორტსმენი ოცნებობს და ამის უფლებას ვერავის წაართმევ. მსოფლიოს თასის მფლობელი, ერევნელი გურგენ ბაღდასარიანიც (57 კგ) უდაოდ ოქროს მედალს უმიზნებდა, თუმცა გზადაგზა „პირადი“ საქმეებიც უნდა გაერკვია — ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის ორი პოტენციური კანდიდატი — სერგეი ბელოგლაზოვი და ბუზაი იბრაგიმოვი ჩამოეცილებინა გზიდან, რომ მწვრთნელებისთვის ყოყმანის საბაბი არ მიეცა. ბუნებრივია, ბელოგლაზოვიცა და იბრაგიმოვიც ასეთივე სურვილით ჩამოვიდნენ თბილისში. პირველი ოთხი ტური ბაღდასარიანმა უდანაკარგოდ გავლო — ყველა შეხვედრაში წმინდად გაიმარჯვა. მეხუთე ტური. ბაღდასარიანი — ბელოგლაზოვი (მანამდე სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და ევროპის ჩემპიონმა ბელოგლაზოვმა სამი შეხვედრა მოიგო, იბრაგიმოვთან კი ქულებით დამარცხდა). მართალია, ერევნელმა მოჭიდავემ ეს ორთაბრძოლა წააგო, მაგრამ ფინალის საგზური მაინც გაიხადა. აქ მას სსრ კავშირის ჩემპიონი იბრაგიმოვი „უცდიდა“. ფინალი მართლაც რომ დაძაბული გამოდგა. პაექრობის დასკვნითი ნაწილი ბაღდასარიანმა უფრო აქტიურად ჩაატარა, ოქროს

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *



სურათზე: ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის, კრასნოიარსკელი ი. იარიგინისა (მარცხნივ) და ამერიკელი ფ. ბონას შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

სპორტული საზოგადოებრიობის პროტესტი

ვაშინგტონი. აშშ-ის მთავრობის პროვოკაციული გამოსვლა მოსკოვში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების თაობაზე, ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს სპორტული წრეების პროტესტს იწვევს.

აშშ-ის პრეზიდენტის განზრახვა, გამოუცხადოს ბოიკოტი და არ დაუშვას ამერიკელი სპორტსმენები მოსკოვის ოლიმპიადაზე, ძალზე საშიშია, განაცხადა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მწვრთნელმა-კონსულტანტმა ჯ. ჩეფერსმა. ამან შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ამერიკელი სპორტსმენები უდიდესი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრების მიღმა აღმოჩნდნენ. სპორტის ისტორია ცხადყოფს, რომ მსგავს ბოიკოტებს იშვიათად ჰქონიათ წარმატება და, როგორც წესი, ასეთი მოქმედებისგან მხოლოდ თვით ორგანიზატორები ზარალდებიან. მსოფლიოსა და აშშ-ის ჩემპიონმა ცურვაში ტრეისი კოლკინსმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის ბოიკოტი ვერ მოახდენს ოლიმპიადა—80-ის ჩატარებაზე.

როგორც ამერიკელ ათლეტთა უმრავლესობა, მეც ვიცხოვ ადმინისტრაციის დემაგოგიურ მოწოდებას — ბოიკოტი გამოუცხადონ მოსკოვის ოლიმპიადას, — განაცხადა აშშ-ის ძალოსანთა ოლიმპიური გუნდის წევრმა ბ. ჯორდანომ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამერიკელი სპორტსმენები გამოვლენ მთავრობის გეგმების წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა კილანინმა ეჭვი გამოთქვა, რომ აშშ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მხარი დაუჭიროს თავისი მთავრობის წინადადებას 1980 წლის ოლიმპიური თამაშების გამო. იგი ეწინააღმდეგება სპორტული მოძრაობის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დენის ფოლოუზმა გაზეთ „დეილი ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არც ერთ ინგლისელ სპორტსმენს, არც ერთ ბრიტანულ ოლიმპიურ ორგანიზაციას უარი არ უთქვამს მოსკოვის შეჯიბრებაში მონაწილეობაზე.

ასეთივე პოზიციაზე დგას ფიზკულტურისა და სპორტის ცენტრალური საბჭო, რომელიც 54 სპორტულ ორგანიზაციას აერთიანებს. საბჭოს გენერალურმა მდივანმა პიტერ ლოუსონმა განაცხადა, რომ ოლიმპიადების გამართვის ადგილის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს აქვს. ინგლისის ხელახუფლების ცდა, ჩაერიოს ამ საქმეში, ნიშნავს დემოკრატიული პრინციპების დარღვევას.

პარიზი. გამოჩენილმა ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ეროვნული კრების დეპუტატმა როჟე შინომ „სასაცილო“ უწოდა ჯ. კარტერის განზრახვას მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის თაობაზე.

პარიზის მერმა ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ ქალაქის მუნიციპალური საბჭოს დელეგაცია ეწვევა მოსკოვს ოლიმპიური თამაშების დღეებში, როგორც ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული. „რამდენიმე თვის წინათ მივიღე გადაწყვეტილება დელეგაციის ფორმირების თაობაზე და ამ საკითხში არავითარი ცვლილება არ მომხდარა“, — თქვა მან პრეს-კონფერენციაზე.

ალჟირი. აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური მოწოდება მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის თაობაზე არის ბინძური მაქინაცია და შანტაჟი, — წერს გაზეთი „ალ-მუჯახდი“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აშშ ყველაფერს აკეთებს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის. აფრიკის ქვეყნები, — მიუთითებს გაზეთი, არ წამოეგენ აშშ-ის შანტაჟს და გადაწყვიტეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის ოლიმპიადაში. (საკდესი).

ობიექტივშია ზუგდიდის რაიონის

სოფელი რუხი



რუხის ციხე

ესეც თქვენი კონტრასტი, გავიფიქრე, როცა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ჩავედი.- თბილისში თოვლი და ყინვა დავტოვე, იქ კი გაზაფხულისპირივით დარი დამხვდა.

ჯერ მზე არც კი იყო ამოსული, როცა რუხს ვესტუმრე. მეგზურობას ზუგდიდის „კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე შაქრო ჩანგელია მიწევდა. მითხრა, — სოფლის მშრომელებს, მოსწავლეებსა და მათ ფიზკულტურელებს ასე ადრიანად რომ თავს არ დავადგეთ, ჯერ რუხის ციხის ნანგრევები მოვინახულოთო.

რუხში პირველად ვიყავი და, ბუნებრივია, ამ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი.

ვიდრე რუხის ციხის თავზე მოვექცეოდით, ამასობაში მინავლებული, მეწამული მზის დისკოც ამოცურდა. მერე თანდათან იმძლავრა და ოქროსფერი სხივები მოჰფინა არე-მარეს. დამაზრალმა ბუნებამ გაიღვიძა. თრთვილი ბალახზე მარგალიტებად აციმციმდა. ციხის ძირში გამავალი გზატკეცილი მდინარესავით ალაპლაპდა. შორს, ჩრდილოეთით კი ქათქათა კავკასიონი მოჩანდა. ყრუდ ბუბუნებდა იქიდან დაძრული ენგური.

— საუკუნეზე მეტი ხნის წინათ სწორედ აქ, ამ ადგილებში, ქართველთა, აფხაზთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარმა დიდი ბრძოლები გადაიხადა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, — მიამბობს შაქრო ჩანგელია. — შარშან, შემოდგომაზე სწორედ აქ, სოფელ რუხში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდობის დღესასწაული. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ზეიმი აქვე, რუხის ციხის მახლობლად, ნესტორ ლაკობას სახელობის პარკთან მოეწყო. იგი მეგობრობის მემორიალისთვის საძირკველის ჩაყრას და ნესტორ ლაკობას სახელობის პარკის გაშენებას მიეძღვნა ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის აღსანიშნავად. ნესტორ ლაკობას სახელობის პარკთან მომავალში ახალგაზრდა შემოქმედთა შეხვედრები, თვითმოქმედი კოლექტივების ფესტივალები, სპორტული შეჯიბრებები გაიმართება ხოლმე. თუმცა, სპორტული კომპლექსი ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ ახლო მომავალში უთუოდ გვექნება. საერთოდ, ფიზკულტურასა და სპორტში საკმაოდ კარგი მაჩვენებლები გაგვაჩნია. მაგალითად, რუხის „საქართველოს“ სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა მთელს რაიონში და, საერთოდ რესპუბლიკაში...

...მეგზურმა სიტყვა აღარ გააგრძელა. მითხრა, გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობსო...

საუბარი ფოტოსტენდთან

როცა კოლმეურნეობის ფიზკულტურელთა თავკაცს ვეწვიეთ, ვიგრძენი, რომ აქ უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, დერეფანში გაკრული ფოტოსტენდიდან რაიონისა და რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა სახეებმა შემოგვხედა. იქვე ვნახეთ ნაირგვარი თასები, ვიმპელები, სიგელები... ერთ-ერთი ვიმპელი „კოლმეურნეს“ ცენტრალურ საბჭოს გადაუცია აქაური ფიზკულტურელებისთვის — როგორც რესპუბლიკის კოლმეურნეობებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულისთვის. შარშან რაიონულ სპარტაკიადაზე რუხელ კოლმეურნეებს სპორტის ყველა—18 სახეობაში მიუღიათ მონაწილეობა. ძალოსნობაში, სამბოში. ქართულ, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, აგრეთვე, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ჩემპიონები გამხდარან. ჭადრაკში და შაშში II ადგილები მოუპოვებიათ. კომპლექსურ ჩათვლაში კი რუხელებისთვის მხოლოდ ცაიშის მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს უჯობნიათ.

— წლეულს კვლავ დავიბრუნებთ I ადგილსო, — თვალებანთებულმა მითხრა რუხელ ფიზკულტურელთა თავკაცმა დავით აგახანოვმა.

თქმა არ უნდა, რუხელ კოლმეურნეებს რომ ფიზკულტურასა და სპორტში ასეთი წარმატებები აქვთ, ამაში დიდი წვლილი დავითსაც მიუძღვის.

მან ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტი დაამთავრა. რაც რუხის კოლმეურნეობის ფიზკულტურელებს ჩაუდგა სათავეში, უკვე ხუთი წელი მიილია და ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი რაიონის მოწინავეთა შორის არ მოეხსენებინათ. მკითხველი ალბათ ყურადღებას მიაქცევდა, რომ აქაური ფიზკულტურელები განსაკუთრებით სხვადასხვა სახეობის ჭიდაობაში ყოფილან ძლიერები. ეს გასაგებიცაა — დავითი ხომ მოჭიდავეა, სპორტის ოსტატი და კოლმეურნეობის ფალავნებსაც თავადვე ავარჯიშებს.

კვლავ ფოტოსტენდს ვათვალიერებთ...

— კოლმეურნეობის მოწინავე ფიზკულტურელები, რომლებიც შრომაშიც მისაბაძნი არიან? — კითხვას მიბრუნებს დავითი და მეუბნება — უთუოდ თბილი სიტყვებით მოიხსენიეთ თინათინ კვარაცხელია, დალი ფაცია, ელგუჯა ნანავა, ნუგზარ ჯანაშია, დავით ფაცია, რენდიკო ფარცვანია, გია ოკუჯავა...

ელგუჯა ნანავა მე-3, ხოლო ყველა დანარჩენი მე-5 აგროგანყოფილების წევრები არიან, —საუბარს აგრძელებს დავითი. — საერთოდ, მე-5 აგროგანყოფილება ყველაზე მოწინავეა კოლმეურნეობაში. შიდასაკოლექტივო სპარტაკიადაზე არავის უთმობენ პირველობას. ისიც აღნიშნეთ, რომ ჩვენი სოფლელია ოთარ ჯაფარიძეც, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ცხენოსანთა შეჯიბრებაში საქართველოს სპორტულ დელეგაციას 20 ქულა შემატა. და მაინც, ჩვენს წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზაურ თოდუას მიუძღვის. თავის დროზე იგი ამავე კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდის კარის დარაჯი იყო. ახლა ყოველმხრივ გვიწყობს ხელს, რათა მოწინავეთა რიგებში ვიყოთ. სოფლის სხვადასხვა უბანში მარტივი ტიპის სპორტულ მოედნებს აწყობს. ახლა, მაგალითად, ქვემო სათოდუოს უბანში შეუდგა ფეხბურთის მინდვრის მოწყობას. კოლმეურნეობისთვის 1974 წელს საქართველოს „საქსპორტმშენის“ სამმართველოს ცხაკაიას უბანმა სპორტული კომპლექსის მშენებლობა წამოიწყო. სამწუხაროდ, აქამდე მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მიწის სამუშაოები შეასრულეს. ამიტომ, რამდენიმე დღის წინათ კოლმეურნეობამ თავის თავზე აიღო სპორტულ კომპლექსზე ზრუნვა — გადაწყვიტა საკუთარი ძალებით წარმართოს მშენებლობა. წლის ბოლოს სტადიონიც გვექნება და ღია სპორტული მოედნებიც თავისი გასახდელებით, საშხაპეებით. სტადიონის მშენებლობისთვის 123 ათასი, ხოლო ღია სპორტული მოედნებისთვის 20 ათასი მანეთია გამოყოფილი. სპორტულ კომპლექსში გათვალისწინებულია საცურაო აუზი და სპორტდარბაზიც, ამას კი ჩვენი ძალებით ვერ მოვერევით. თუმცა, მშენებლობისთვის თანხა გვაქვს, მაგრამ მშენებელი ორგანიზაცია ჯერჯერობით ვერ გამოინახა. იმედია, ამ საქმესაც მოევლება.

მომავლის მკვიდრი საძირკველი

შთამბეჭდავი ციფრები

სადაც წესი და რიგია, ფიზკულტურა და შრომა ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და ალამაზებდნენ. ფიზიკურად დაჩიავებული ადამიანი ვერც ველ-მინდვრად იშრომებს ხეირიანად და ვერც დაზგასთან. თავის მხრივ უშრომლად კაცი ვერც სპორტულ სარბიელზე მიაღწევს ხელშესახებ წარმატებებს. ერთი სიტყვით, ფიზკულტურა და შრომა უერთმანეთოდ წარმოუდგენელია.

როცა რუხის კოლმეურნეობის ცხოვრებას, საქმიანობასა და მიღწევებს ვეცნობოდი, ვნახე, რომ მათ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს სანაქებო მიღწევები აქვთ. იმაშიც დავრწმუნდი, რომ აქაურები თავდაუზოგავად შრომობენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, ფრიად შთამბეჭდავია ასეთი სტატისტიკა: შარშან გეგმით 2660 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფათ. ფაქტიურად კი 3946 ტონა მოკრიფეს. ჩაის კრეფის ხუთწლიანი გეგმა 13100 ტონას ითვალისწინებდა, მაგრამ ოთხ წელინადში 14449 ტონა ჩაის ფოთოლი დამზადდა. შარშან საჰექტარო მოსავლიანობამ 10 ტონას გადააჭარბა. ამას გარდა, შესრულებულია სიმინდის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის, ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმები. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებულია 4 მილიონ მანეთამდე თანხა. მოგებამ კი 2000 მანეთს გადააჭარბა.

წლეულს რუხელი მშრომელები 4000 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს „უმიზნებენ“... თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლმეურნეობაში 980 კაცია შრომისუნარიანი, მაშინ ეს ციფრები მართლაც შთამბეჭდავია.

— ჩვენს კოლმეურნეობაში არც ერთი ჩამორჩენილი უბანი, არც ერთი ჩამორჩენილი მშრომელი არა გვყავს, მაგრამ მოწინავეთა შორის მოწინავენი მაინც გამოირჩევიან. ესენი არიან სოციალისტური შრომის გმირები: ადელია ფარცვანია, იმენა ბულისკირია, დაფინო ნანავა, შურა ბახტაძე და სხვები, — გვითხრეს რუხელებმა.

სურათებზე: რუხის ციხე; შინმოუსვლელთა მემორიალი, რომელიც სოფლის ცენტრშია მოწყობილი; რუხის საშუალო სკოლის მოსწავლეები ფრენბურთის ბადესთან; კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი დ. აგახანოვი და თ. კვარაცხელია, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა როგორც შრომაში, ისე ფიზკულტურაში.

ავტორის ფოტოები.

სოფლის თვალი...

როცა სოფელ რუხზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სოფლის საშუალო სკოლას. უფრო სწორედ — კოლმეურნეობისა და მოსწავლეების ურთიერთობას.

რუხის საშუალო სკოლას იმ დროს ვესტუმრეთ, დიდი დასვენება რომ დადგა. მოსწავლეები ურიამულით გამოეფინენ ეზოში, ფიზკულტურის მასწავლებლის სერგო ხარძიანის ხელმძღვანელობით ვარჯიშიც გაჩაღდა. მერე სკოლის დირექტორთან ვარლამ ნაჭყებიასთან ერთად ვათვალიერებთ აქაურობას.

სკოლის ეზოში კოხტად მოწყობილი სკვერია აუზით, მოზაიკური პანოებითა და დეკორატიული, მარადმწვანე მცენარეებით. მეორე მხარეს კარგად მოვლილი ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნებია. იქვეა მძლეოსნური სექტორი...

— ყოველივე ამას, რასაც ხედავთ, რუხის კოლმეურნეობას უნდა ვუმადლოდეთ, — გვეუბნება სკოლის დირექტორი. — სწორედ ეს გვეხმარე დახმარები ხელი და 1974 წელს თავისი სასურველი. ახალი სკოლა შენობა აგვიშენა, მოაწყო სპორტული მოედნები, ინვენტარით აღჭურვა საალტო და სპორტდარბაზი, 100-ადგილიანი სასადილო. ბავშვებს წლების მანძილზე უფასოდ აძლევენ სახელმძღვანელოებს. ორგანიზებულია მოსწავლეთა ორჯერადი უფასო კვება. სწავლება კაბინეტური სისტემით მიმდინარეობს. გახანგრძლივებულ ჯგუფებში მოეწყო მექანიზაციის კაბინეტი და სასოფლო-სამეურნეო მანქანების პოლიგონი, სადაც ბავშვები ტრაქტორის ტარებას სწავლობენ. ნათქვამია, ერთი მხრით სარგებლობას მეორე მხრითაც სარგებელი უნდაო. ჩვენი მოსწავლეები სკოლის კედლებს რომ გასცდებიან, კოლმეურნეობას მხარში ამოუდგებიან როგორც მექანიზატორები...

ბუნებრივია, მოსწავლე ფიზკულტურელთა მიღწევებით დავინტერესდი. მითხრეს, რაიონის ჩემპიონები არიანო ფრენბურთში — გოგონებშიც და ვაჟებშიც, რაიონის შარშანდელ სპარტაკიადაზე მათ არც ჭადრაკსა და შაშში ჰყოლიათ ბადალი. სკოლის 560 ბავშვიდან 257 ფიზკულტურელია.

— როცა რუხის კოლმეურნეებმა, მოსწავლეთა შეფებმა დაინახეს სპორტულ სარბიელზე ბავშვები აღარ ხუმრობენო, მათთვის ახლა ფეხბურთის მინდვრის მოწყობაც დაიწყეს...

მკითხველი ალბათ დამეთანხმება — შრომითს კოლექტივებთან სკოლების კავშირის განმტკიცების ეს მაგალითი მართლაცდა ჭეშმარიტად მისაბაძია. ერთი ქართული ანდაზა ამბობს: სოფლის თვალი ყველაფერს ხედავსო და არც რუხელთა თაოსნობა დარჩენილა დაუნახავი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც მოინონა ზუგდიდის რაიონის შრომითი კოლექტივების გამოცდილება სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების საინიციატივო მშენებლობის განვითარებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. უწინარეს ყოვლისა, აქ სხვებთან ერთად რუხის საშუალო სკოლისა და რუხის კოლმეურნეობის მაგალითით განზოგადოებული იყო, თუ რაიონის მშრომელთა კოლექტივები და სკოლები როგორ ეძებენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, საერთოდ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადების გაუმჯობესების ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

* * *

საღამოჟამს, ვიდრე თბილისს დავბრუნდებოდი, კიდევ ერთხელ ავედი რუხის ციხეზე. ვათვალიერებდი ციხის ნანგრევებს და თან სოფელში მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვფიქრობდი. ამან დიდი ილიას სიტყვები გამახსენა: „წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“.

რუხელებს მართლაც კარგი აწმყო აქვთ და მომავალი — კიდევ უფრო უკეთესი.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. რუხი,
ზუგდიდის რაიონი.

თბილისის XIX საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში


ს. კორნილაევი (სსრკ)


ჯ. მილზი (აშშ)


გ. ბაღდასარიანი (სსრკ)


ხ. ხატაგოვი (სსრკ)

ნ. პეტრენკო (სსრკ)


გ. მაკასარაშვილი (სსრკ)


ო. კალოევი (სსრკ)


ხ. ოგანესიანი (სსრკ)


ი. მატე (სსრკ)


ხ. ანდიევი (სსრკ)

დასასრული

მედალი და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური დუელი მოიგო.

საერთოდ ასეა: როცა ფინიში ახლოვდება და თვალნათლივ იკვეთება ლიდერთა და აუტსაიდერთა კონტურები, ორთაბრძოლების დაძაბულობა უფრო და უფრო იზრდება. გიორგი მაკასარაშვილი (74 კგ) 3 საჯარიმო ქულით მოვიდა მეხუთე წრემდე და ახლა ყველაფერი ამერიკელ დევ შულცთან შეხვედრას უნდა გადაწყვიტა. წმინდად გამარჯვების შემთხვევაში გიორგი პირველ ადგილს ინაღდებდა, ამერიკელს კი ქულებით მოგებაც აძლევდა ხელს.

მსაჯის სასტვენი. მაკასარაშვილი შეტევაზე გადადის — ფეხებში უვარდება მეტოქეს. არაფერი გამოდის. ახლა მოგვერდი— ისევ უშედეგოდ. ეტყობა, შულცი არ ელოდა ასეთ დასაწყისს, დაბნეული ჩანს. მაკასარაშვილი კი არ ცხრება. კისრული იხმარა. ამერიკელი ხალიჩაზე აღმოჩნდა— 2 ქულა. მკლავფეხმოვლებით ხიდზე გადაიყვანა. რამდენიმე წამიც და მსაჯმა მაღლა აღმართა ხელი — შულცი ორივე ბეჭით შეეხო ლიბს.

გიორგი მაკასარაშვილი ერთადერთი ქართველი მოჭიდავე აღმოჩნდა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ადგილი რომ დაიკავა. ოქროს მედლის მოპოვების კარგი შანსი ჰქონდა ვაჟა კოტორაშვილს (68 კგ), მაგრამ ნიკოლოზ პეტრენკოსთან (მან შარშანდელ ტურნირშიც გაიმარჯვა) გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა (საქმე ისაა, რომ ტურნირის დებულებით, თითოეულ წონით კატეგორიაში მონაწილე ქვეყნის თითო წარმომადგენელს გადაეცემა ჯილდო).

მას შემდეგ, რაც მოსკოველმა სანასარ ოგანესიანმა (90 კგ) მსოფლიო ჩემპიონის, ანატოლი პროკოპჩუკის - დამარცხება შეძლო, აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ იგი ოქროს მედალს მოიპოოდში მეტოქეებმა თითო ქულის აღება მოახერხეს — 3:1. მდგომარეობა დაიძაბა. წაგების საშიშროება რომ იგრძნო, მატე გააქტიურდა და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწია — 5:4. ახლა ბევრი რამ ბოლო ორთაბრძოლებზე იყო დამოკიდებული. მაგომედოვმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია იარიგინს, მაგრამ მაინც დამარცხდა — 4:5. ბილენბერგი ისვენებდა. ხალიჩაზე ძველ მეტოქეებს — თედიაშვილსა და მატეს უხმეს.

* * *

...გამოჩნდა. დიდი და პატარა თან აედევნა.

ვ. კოტორაშვილი (საქართველო).

ტრადიცია თავისას ითხოვს

ვებდა. ასეც მოხდა. ოგანესიანმა ბოლო შეხვედრაც (მოსკოველ ალექსანდრე სოლოვიოვთან) ეფექტურად მოიგო და ჩემპიონი გახდა.

მძიმეწონოსანთა შორის ფავორიტი, რა თქმა უნდა, მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ორჯონიკიძელი სოსლან ანდიევი იყო. მან ჩინებულად განვლო მთელი ტურნირი, შეიძლება ითქვას, „ცალი ხელით“ მოიგო ყველა შეხვედრა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე გამარჯვებაში ძნელად თუ შეეცილება ვინმე.

როცა ქვემძიმე წონის მოჭიდავეებმა მესამე წრე განვლეს, ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ივანე იარიგინს აღმოაჩნდა (1 საჯარიმო ქულა). მას კვალში მიჰყვებოდა მაგომედ მაგომედოვი (2), 3-3 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ ლევან თედიაშვილს, მალხაზ მერმანიშვილსა და ვასილ პუშკაშუს, 4-4—ილია მატესა და ლერი ბილენბერგს. მეოთხე წრეში თედიაშვილმა 5 წუთში დაამარცხა ამერიკელი ფრედ ბონა, მაგომედოვმა (ქულებით)— რუმინელი პუშკაშუ. მერმანიშვილმა ვერაფერი გააწყო ბილენბერგთან (აშშ), დამარცხდა და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

იარიგინი — მატე. მეოთხე წრის ცენტრალური შეხვედრა. პირველ პერიოდში იარიგინი დაწინაურდა — 2:0, მეორე პერიოდში ჩემპიონმა ბოლო შეხვედრაც (მოსკოველ ალექსანდრე სოლოვიოვთან) ეფექტურად მოიგო და ჩემპიონი გახდა.

ჩემს გვერდით ათიოდე წლის ბიჭი ზის, კიდევ იქით — კაცი.

— მამა, ვინ არის?

— თედიაშვილი.

— ყველას რომ ერევა?

— ... ?!

დინჯად მიუახლოვდა წრეს. ტრიბუნა გაილურსა. უნებლიედ იქითკენ გაექცა თვალი. ტრავმა, ტრავმა. რა დროს ეგ იყო. რამდენი დრო გაცდა, რამდენი შეჯიბრება... ადრე ორჯერ შეხვდა, ორივეჯერ მოუგო. ახლა კი გაუჭირდება...

ვინ იცის, რამდენჯერ დაულაშქრავს უმაღლესი სპორტული მწვერვალი, რამდენჯერ გაუხარებია თაყვანისმცემლები. მტკიცე ხასიათის კაცია. სხვა რომ ყოფილიყო, ქუდს დაიხურავდა და წავიდოდა. მე ჩემი გავაკეთეო, და წავიდოდა. ის კი დარჩა, ვერ უღალატა ტვირთს, ათეული წელიწადი ღირსეულად რომ ატარა. ღმერთმა ქნას, კიდევ დიდხანს იჭიდაოს. მაგრამ რომ წავა, მერე რაღა იქნება? ვის გადაულოცოს ლიდერის კვერთხი?

...დამარცხდა. ყველაფერი იღონა, მაგრამ მაინც დამარცხდა. ტაშით გააცილეს. უნებლიედ სპარტაკიადა გამახსენდა — ვიქტორ სანეევი. მაშინ ვიქტორსაც მოეცარა ხელი, მაგრამ ისიც ტაშით გააცილეს. ჭეშმარიტ გულშემატკივარს არაფერი ეშლება.

სევდანარევი ღიმილით დატოვა სარბიელი. იმედიც დაგვიტოვა. იმედი იმისა, რომ ხვალ და ზეგ კვლავ ვიხილავთ ხალიჩაზე.

უკანასკნელად შემოჰკრეს გონგს. ჩამოარიგეს მედლების ბოლო კომპლექტი. კიდევ ერთი, რიგით მეცხრამეტე საერთაშორისო ტურნირი ისტორიის კუთვნილება გახდა. ფიქრისა და ანალიზის ჟამი დაუდგათ ჩვენს მწვრთნელებს, ჭიდაობის ქართული სკოლის მესვეურებს. მახსოვს, შარშანდელ ტურნირზე საკმაოდ მკაცრი ანგარიში დაიწერა და ბევრმა უკმაყოფილება გამოთქვა — აი, სპარტაკიადაზე ნახავთ, რომ ისე არაა საქმე, როგორც გგონიათო. სამწუხაროდ, სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ ცხადყო ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ჩამორჩენა, რისი უტყუარი დასტური გუნდური მეცხრე ადგილი იყო. წლევანდელმა ტურნირმაც სანუგეშო ბევრი ვერაფერი დაგვიტოვა. ეს უკვე მერამდენე სიგნალია, სიგნალი იმისა, რომ თავისუფალ ჭიდაობას მიხედვა ჭირდება, თანაც დაუყოვნებლივ. დღესვე, ახლავე უნდა მივიღოთ ზომები, თორემ ხვალ-ზეგ შეიძლება გვიანი იყოს.

ე. ბერიშვილი.

გუშინ

თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:3.

ლ. ბილენბერგი (აშშ).

შ. შანიძის მეგობრული შარჟები.

გამარჯვებულთა გზა

48 კგ. ს. კორნილაევმა (სსრ კავშირი) წმინდად დაამარცხა ა. ტეჰრანი (ირანი), ბ. როზადო (აშშ), ნ. ჯაფაროვი (საქართველო), IV წრეში თავისუფალი იყო, მეხუთეში წმინდად ა. დიოდოროვი (სსრ კავშირი), მეექვსეში ქულებით რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი).

52 კგ. ჯ. მილზმა (აშშ) წმინდად დაამარცხა მ. ბაზმოვარი (ირანი), ვ. სტეციკი (პოლონეთი), ტ. მამედოვი, ი. შუგაევი (ორივე—სსრ კავშირი), ფ. ალიევი (ბულგარეთი), ტ. ფაშაევი (სსრ კავშირი).

57 კგ. ბ. ბაღდასარიანმა (სსრ კავშირი) წმინდად დაამარცხა ა. ნიაგუ (რუმინეთი), ა. კამპოსი, ხ. როდრიგესი (ორივე — კუბა), გ. იგანოვი (ბულგარეთი), ქულებით წაგო ს. ბელოგლაზოვთან, ქულებით მოუგო ბ. იბრაჰიმოვს (ორივე —სსრ კავშირი).

62 კგ. ს. ხატაგოვმა (სსრ კავშირი) წმინდად მოუგო მ. აბუშევს (სსრ კავშირი), ქულებით წაგო პ. ქენქაძესთან (საქართველო), ქულებით მოუგო პ. გარანოვსკის, ვ. ალექსეევს (ორივე —სსრ კავშირი), რ. ლუისს (აშშ), წმინდად ი. ბონტს (მონგოლეთი).

68 კგ. ნ. პეტრენკომ (სსრ კავშირი) წმინდად დაამარცხა ნ. ცონკოვი (ბულგარეთი), ს. შირინსკი (პოლონეთი), ბ. ბუდაევი (სსრ კავშირი), ქულებით დამარცხდა ც. ოიდოვთან, წმინდად დაამარცხა ბ. ბოლდი (ორივე—მონგოლეთი), მეექვსეში თავისუფალი იყო, ხოლო მეშვიდეში ქულებით დაამარცხა ვ. კოტორაშვილი (საქართველო).

74 კგ. გ. მაკასარაშვილმა (საქართველო) წმინდად დაამარცხა ჯ. ქარიმი (ირანი), ქულებით ა. პონომარიოვი, ი. ვორობიოვი, პ. მარტა (სამივე — სსრ კავშირი), წმინდად დ. შულცე (აშშ), ქულებით ო. ყაჭაშვილი (საქართველო).

82 კგ. ო. კალოევმა (სსრ კავშირი) წმინდად დაამარცხა დ. ხოსე (კუბა), ქულებით მ. არაცილოვი (სსრ კავშირი), წმინდად ძ. დუბჩინი (მონგოლეთი), ქულებით ვ. ევლოევი (სსრ კავშირი), მეხუთე წრეში თავისუფალი იყო, ხოლო მეექვსეში წმინდად ე. კანბეროვი (ბულგარეთი).

90 კგ. ს. ოგანესიანმა (სსრ კავშირი) წმინდად დაამარცხა ი. ივანოვი (რუმინეთი), გ. ს. ჩიმიბი (მონგოლეთი), გ. იანჩევი (ბულგარეთი), ვ. ბატნია (სსრ კავშირი), მეხუთე წრეში თავისუფალი იყო, მეექვსეში ქულებით დაამარცხა ა. პროკოპჩუკი (სსრ კავშირი), ხოლო მეშვიდეში წმინდად ა. სოლოვიოვი (სსრ კავშირი).

100 კგ. ი. მატემ (სსრ კავშირი) ქულებით დაამარცხა მ. მერმანიშვილი (საქართველო), წმინდად ლ. მირანდა (კუბა), ქულებით დამარცხდა მ. მაგომედოვთან (სსრ კავშირი), ქულებით დაამარცხა ფ. ბონა (აშშ), ლ. თედიაშვილი (სსრ კავშირი), მეექვსე წრეში თავისუფალი იყო, ხოლო მეშვიდეში წმინდად დაამარცხა ლ. ბილენბერგი (აშშ).

მძიმე. ს. ანდიევმა (სსრ კავშირი) ქულებით დაამარცხა ბ. ბიგაევი (სსრ კავშირი), წმინდად ჯ. ტარიელაძე (საქართველო), მესამე წრეში თავისუფალი იყო, შემდეგ წმინდად დაამარცხა გ. კალოევი, ვ. სკრიპკინი, ვ. პარშუკოვი (სამივე—სსრ კავშირი).

პრიზიორები

48 კგ. 1. ს. კორნილაევი (სსრ კავშირი), 2. ა. ახმედოვი (ბულგარეთი), 3. ა. ტეჰრანი (ირანი), 4. ნ. ჯაფაროვი (საქართველო). მონაწილეობდა 8 მოჭიდავე.

52 კგ. 1. ჯ. მილზი (აშშ), 2. ი. შუგაევი (სსრ კავშირი), 3. ფ. ალიევი (ბულგარეთი)... 15. ა. კაპანაძე (საქართველო). 15 მოჭიდავე.

57 კგ. 1. გ. ბაღდასარიანი (სსრ კავშირი), 2. ა. ნიაგუ (რუმინეთი), 3. განბოლტი (მონგოლეთი)... 13. მ. მუზიაშვილი (საქართველო). 14 მოჭიდავე.

62 კგ. 1. ს. ხატაგოვი (სსრ კავშირი), 2. ო. ბოიტი (მონგოლეთი), 3. რ. ლუისი (აშშ), 4. ბ. სარდანიშვილი... 8. ე. ხითარიძე... 11. პ. ქენქაძე (სამივე—საქართველო). 17 მოჭიდავე.

68 კგ. 1. ნ. პეტრენკო (სსრ კავშირი), 2. ც. ოიდოვი (მონგოლეთი), 3. ჯ. ჰამფრი (აშშ), 4. ვ. კოტორაშვილი... 7. დ. გიგაური (ორივე — საქართველო). 16 მოჭიდავე.

74 კგ. 1. გ. მაკასარაშვილი (სსრ კავშირი), 2. დ. შულცე (აშშ), 3. ბ. დემდინი (მონგოლეთი), 4. ო. ყაჭაშვილი... 17. თ. გაბოძე... 19. ნ. როსტომაშვილი (სამივე — საქართველო). 20 მოჭიდავე.

82 კგ. 1. ო. კალოევი (სსრ კავშირი), 2. ძ. დუბჩინი (მონგოლეთი), 3. კ. კრისი (აშშ)... 6. თ. საჯაია... 10. ვ. მოდოსიანი... 20. ნ. მეტრეველი (სამივე — საქართველო). 20 მოჭიდავე.

90 კგ. 1. ს. ოგანესიანი (სსრ კავშირი), 2. გ. იანჩევი (ბულგარეთი), 3. დ. ირიგჯოუ (მონგოლეთი), 4. გ. ყურაშვილი (საქართველო). 14 მოჭიდავე.

100 კგ. 1. ი. მატე (სსრ კავშირი), 2. ლ. ბილენბერგი (აშშ), 3. ვ. პუშკაშუ (რუმინეთი)... 6. მ. მერმანიშვილი (საქართველო). 13 მოჭიდავე.

მძიმე. 1. ს. ანდიევი (სსრ კავშირი), 2. ციერენდოხდიხი (მონგოლეთი), 3. მ. დინგოვი (ბულგარეთი),... 6. ჯ. ტარიელაძე... 9. ა. ქვილითაია (ორივე — საქართველო). 9. მოჭიდავე.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● კლასიკური ჭიდაობა

თეიმურაზ ყაზარაშვილი — პირველი

სტოკჰოლმში გაიმართა ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ტურნირი — „კლიმანის თასის“ გათამაშება. საბჭოთა ათლეტებმა გაიმარჯვეს 6 წონით კატეგორიაში, ხოლო სამში III ადგილები დაიკავეს.

თავიანთ წონებში პირველობა დაისაკუთრეს: თბილისელმა თეიმურაზ ყაზარაშვილმა (48 კგ), ბაქოელმა მანაფ მეხრალიევმა (57 კგ), ჟიტომირელმა ანატოლი კრავჩენკომ (68 კგ), ომსკელმა სერგეი გოლუბოვიჩმა (90 კგ), ულანოველმა ვიქტორ ლეტოვმა (100 კგ), ტერნოპოლელმა ანატოლი ელჩანინოვმა (100 კგ. ზევით).

პირველი ადგილები მოიპოვეს, აგრეთვე, ბულგარელმა მლადენ მლადენოვმა (52 კგ) და იანკო შოპოვმა (74 კგ), სკანდინავიელებმა ლარს მალმკვისტმა (62 კგ) და იარმო ოვერმარკმა (82 კგ).

● ფეხბურთი

დინამოელები არგენტინაში

როგორც ცნობილია, ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად არგენტინას გაემგზავრა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი.

გუნდის შემადგენლობაში არიან მწვრთნელები ნ. ახალკაცი, კ. ასათიანი, ს. კუტივაძე, აგრეთვე, ფეხბურთელები — დ. გოგია, ო. გაბელია, თ. კოსტავა, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ვ. ქორიძე, შ. ხინჩაგაშვილი, თ. სულაქველიძე, გ. ჭილაია, ა. მინაშვილი, ნ. კაკილაშვილი, გ. თავაძე, დ. ყიფიანი, ვ. კოპალეიშვილი, რ. შენგელია, ვ. გუცაევი, რ. ჩელებაძე, ვ. დარასელია.

ცვლილებები უმაღლეს ლიგაში

ახლოვდება 1980 წლის საფეხბურთო სეზონი. როგორც ყოველთვის, უმაღლესი ლიგის გუნდებში არის ცვლილებები.

ახალ სეზონში ტაშკენტის „ფახთაქორდან“ ცსკა-ში გუნდის უფროს მწვრთნელად გადავიდა ო. ბაზილევიჩი, რომელმაც აქ შეცვალა ს. შაპოშნიკოვი, ტაშკენტელთა გუნდს კი სათავეში ჩაუდგა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ყოფილი ხელმძღვანელი ს. მოსიაგინი.

მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდნენ ცსკა-ს მოთამაშე ი. საუხი და კიევის დინამოელი პ. სლობოდიანი. რკინიგზელთა კოლექტივში აიყვანეს, აგრეთვე, I ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ვ. მუხანოვი, რომელიც უწინ ვორონეჟის „ფაკელში“ გამოდიოდა.

მოსკოვის „სპარტაკიდან“ ალმა-ათის „ქაირათში“ გადავიდა მ. ბულგაკოვი. აქვე ითამაშებენ კიევის „დინამოს“ დუბლიორი ფეხბურთელები მ. ბობალი და ნ. მიკულანინეცი.

მოსკოვის „სპარტაკიდან“ ცსკა-ში გადავიდა ვ. ბუკიევსკი.

„ნედელიას“ პრიზზე

საინტერესოდ მიმდინარეობდა „ნედელიას“ პრიზის ტურნირი ფეხბურთში, რომელიც მოსკოვის ცსკა-ს სპორტულ კომპლექსში გაიმართა.

I ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს მოსკოვის გუნდებმა — „სპარტაკმა“ და „ტორპედომ“, III ადგილისთვის კი იბრძოდნენ ცსკა და ბუდაპეშტის მტკ.

„ნედელიას“ პრიზს დაეუფლა „სპარტაკი“, რომელმაც დაამარცხა „ტორპედო“ — 2:1. ცსკა-მ გაიმარჯვა მტკ-სთან ბრძოლაში— 3:0 და III ადგილი დაისაკუთრა.

● ცურვა

საბჭოთა სპორტსმენების წარმატება

ბრემენი. მსოფლიო რეკორდსმენმა ცურვაში, ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა წარმატება მოიპოვა გფრ-ის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ვლადიმერმა 1500 მეტრი გაცურა 14.52,06-ში. ეს შედეგი სჯობს მსოფლიო მიღწევას 50-მეტრიანი აუზებისთვის.

მეორე ადგილი დაიკავა ვორონეჟელმა 17 წლის ა. ჩაევმა— 15.15,22. ევროპის რეკორდსმენი, კრივოიროგელი ს. ფესენკო პირველი იყო 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.25,15. საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს 4×100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც — 3.48,05.

● კრივი

მე-12 შეხვედრა

გასულ შაბათს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი კრივში. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდები. ეს იყო ამ ორი ქვეყნის მოკრივეთა რიგით მე-12 შეხვედრა. მატჩი მოიგო საბჭოთა გუნდმა—8:3.

თავიანთი მეტოქეები დაამარცხეს კ. საფინმა (48 კგ), ს. ხაჩატრიანმა (54), ვ. რიბაკოვმა (57), ი. პროხოროვმა (60), ს. კონოკბაევმა (63,5), ა. კოშკინმა (67), ვ. სავჩენკომ (75) და ა. იაგუბკინმა (მძიმე წონა). სტუმრების ნაკრებიდან წარმატება მოიპოვეს ა. რამოსმა (71 კგ), ჰ. სნიდმა (51) და ლ. მიორფმა.

ხვალ ამ ორი ქვეყნის მოკრივეები თბილისის სპორტის სასახლეში გამართავენ ბრძოლებს.

● წყალბურთი

3:2, 8:7

სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გასულ კვირას ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდა უნგრეთის ეროვნულ გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:2.

გუშინ ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა კვლავ საბჭოთა წყალბურთელების გამარჯვებით— 8:7 დამთავრდა.

● ფრენბურთი

საგზურები — ვადამდე

სოფიაში გაიმართა ფრენბურთში მოსკოვის ოლიმპიადის შესარჩევი ფინალური შეხვედრების ბოლოსწინა ტური ვაჟთა გუნდებს შორის. თამაშების საგზურები ვადამდე ადრე მოიპოვეს ბულგარეთისა და რუმინეთის კოლექტივებმა. ბულგარელებმა ეს შესძლეს სამხრეთ კორეის სპორტსმენებზე გამარჯვებით — 3:1, ხოლო რუმინელებმა — ამერიკელების დამარცხებით — 3:0. ახლა, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდებს 4-4 ქულა აქვთ (ფინალურ ჯგუფში წინასწარი შეხვედრების შედეგებიც შედის) და მეტოქეებისთვის მიუწვდომელნი არიან.

ბოლო მატჩებზე დამოკიდებულია მხოლოდ იმ საკითხის გარკვევა, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში რომელი კოლექტივი რომელ ჯგუფში გამოვა: გამარჯვებული იასპარეზებს „ა“ ჯგუფში საბჭოთა კავშირის, იტალიის, ჩინეთისა და კუბის კოლექტივებთან, ხოლო მეორე ადგილზე გასული — „ბ“ ჯგუფში, სადაც იქნებიან პოლონეთის, იუგოსლავიის, ბრაზილიისა და ტუნისის გუნდები.

● მაგიდის ჩოგბურთი

ბათუმელის ოქროს მედალი

ყარაგანდაში დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო პირადი პირველობა, რომელშიც 96 ოსტატი მონაწილეობდა. ჩემპიონები გახდნენ: ქალებში—ბაქოელი ვ. პოპოვა, ხოლო ვაჟებში — მაგნიტოგორსკელი ი. სოლოპოვი. ქალთა წყვილების ასპარეზობა მოიგეს სვერდლოვსკელმა ლ. ბაქშუტოვამ და ერევნელმა ა. ზახარიანმა, ვაჟებში — სოლოპოვმა და ერევნელმა ბ. ბურნაზიანმა. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდათ ერევნელ ე. ანტონიანსა და ბათუმელ ს. სარხოიანს.

● ფიგურული ციგურაობა

ჩემპიონია ანეტ პეტჩი

ბერლინი. ევროპის პირველობაზე ფიგურულ ციგურაობაში ქალთა შორის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ა. პეტჩმა (გდრ) — 187,84 (ადგილების ჯამი —9). II ადგილი დაიკავა დასავლეთგერმანელმა დ. ლურცმა (გფრ) — 181,68 (21), III — ს. დრიანმ (იტალია) — 179,74 (30).

მოსკოველი კ. ივანოვა მეთერთმეტე იყო — 165,96 (99).

● კალათბურთი

ფინიშის სწორზე

კაუნასის ტურში თბილისის „დინამომ“ ვერ გადალახა ლიტვური ბარიერი—ჯერ ვილნიუსის „სტატიბასთან“ დამარცხდა, შემდეგ კი კაუნასის „ყალგირისთან“ — 78:91 (37:41). კაუნასის ტურის ბოლო დღის ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „სტატიბა“— „სტროიტელი“ (კიევი) 96:83 (47:46). ვეფ-ი (რიგა)—რტი (მინსკი) 108:88 (50:38). გთავაზობთ ადრე გამართულ შეხვედრათა შედეგებს: „სტროიტელი“ —რტი 106:90 (50:52), „ყალგირისი“ — ვეფ-ი 108:96 (53:45).

ლენინგრადის ტურის მორიგი შეხვედრები ასე დასრულდა: „კალევი“ (ტალინი)— „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 98:80 (50:38), ცსკა—ასკ (კიევი) 127:87 (64:45), „სპარტაკი“ (ლენინგრადი)—„დინამო“ (მოსკოვი) 81:73 (49:34), ცსკა— „კალევი“ 103:72 (51:38), „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 120:86 (58:42), „სპარტაკი“— ასკ 76:70 (38:30).

● ფარიკაობა

ფავორიტებს გაუსწრო

ყოველკვირეული „სპორტივნაია მოსკვას“ პრიზზე გამართულ ხმლით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში კარგად იასპარეზა უნივერსიადა — 79-ის ჩემპიონმა, უნგრელმა სპორტსმენმა ი. გედოვარიმ. გამარჯვებულმა უკან ჩამოიტოვა ისეთი ტიტულოვანი მოფარიკავეები, როგორიც არიან ვ. ნაზლიმოვი და ვ. კროვოპუსკოვი, რომლებმაც II და III ადგილები დაიკავეს.

● მძლეოსნობა

კონტინენტის ჩემპიონი

ბელფასტი. ევროპის (გდრ) გამართულ გდრ-ის მძლეოსანთა ზამთრის პირველობაზე მ. გიორგა 60 მეტრზე ქალთა შეჯიბრებაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა დარბაზებისათვის — 7,10 წამი.

საბჭოთა ათლეტები აშშ-ში

ვიტყოგინეგოდი, რომ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად აშშ-ს გაემგზავრა საბჭოთა მძლეოსნების ჯგუფი. პირველი შეხვედრა გაიმართა პორტლენდში. ნ. ჩერნეცკიმ პირველობა მოიგო 550 იარდზე რბენაში — 57,97 (მეორე იყო რ. ვალიულისი). 60 იარდზე ასპარეზობა დამთავრდა ვ. მურავიოვის გამარჯვებით — 6,29. ამავე დისტანციაზე თარჯრბენში ყველას აჯობა ა. პროკოფიევმა — 7,18. ე. სმირნოვა ორჯერ უძლიერესი გახლდათ ქალთა შეჯიბრებაში — მან 178 სმ სიმაღლე დაძლია და 60 მეტრზე თარჯრბენში 7,9 წამი აჩვენა.

ყინვას არ შეუშინდნენ

ლენინგრადის მიდამოებში მეთერთმეტედ გაიმართა ამ ქალაქთან გერმანელი ფაშისტების განადგურებისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. 26-გრადუსიან ყინვის მიუხედავად, ასპარეზობაში ქვეყნის 30 ქალაქის 225 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველას აჯობა ლენინგრადის არმიელმა ნ. კლიუკოვკინმა, რომელმაც 30 კილომეტრი 1:45.5-ში დაფარა. ვეტერანები — ქალაქის დამცველები და სამამოლო ომის მონაწილენი 10 კილომეტრზე ცდიდნენ ძალას. ყველას აჯობა ბარნაულელმა მუშამ ნ. ბორზიხმა— 37.40,0.

სეზონის საუკეთესო

ლენინგრადელი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ალექსეევის მოსწავლეების წილად მოდის 49 მსოფლიო რეკორდი. სწორედ ამ შესანიშნავი აღმზრდელის ხსოვნას მიეძღვნა მძლეოსანთა III საკავშირო ზამთრის შეჯიბრება.

აღსანიშნავია ვ. ვოიკინის მიერ ბირთვის ჯავრაში მიღწეული შედეგი — 20, 19 მ, რაც წლეულს საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● ჰადრაკი

კვლავ ევროპის ჩემპიონები

შვეიცის ქალაქ სკარაში დამთავრდა ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა VIII გუნდური ჩემპიონატი.

დასკვნითს, VII ტურში სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა იუგოსლავიის გუნდს. საბჭოთა მოჭადრაკეებს საერთო გამარჯვებისთვის სამი ქულა ჰყოფნიდათ, იუგოსლაველებს ყაიმებიც ხელს აძლევდათ, რომ ბრინჯაოს მედლები მოეპოვებინათ.

ყაიმით დაასრულეს თავიანთი შეხვედრები ა. კარპოვმა, ი. ბალაშოვმა, მ. ტალმა, ე. გელერმა, რ. ვაჰანიანმა და ა. იუსუპოვმა. მოიგეს კი ო. რომანიშინმა და გ. კასპაროვმა. 5:3 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ამ ორი გუნდის შეხვედრა.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა ზედიზედ მერვედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული — 36,5 ქულა.

II ადგილზეა ოლიმპიური ჩემპიონი—უნგრეთის გუნდი — 29. უნგრელებმა დასკვნითს ტურში სძლიეს ინგლისის გუნდს — 5:3. ინგლისელებმა 28,5 ქულით III ადგილი დაიკავეს. იუგოსლავიის გუნდი 28 ქულით IV ადგილზე დარჩა.

აზმაიფარაშვილის ორი მოგება

რიგა, 28 იანვარი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატში III ტური და გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

III ტურში საქართველოს ჩემპიონმა გ. ზაიჩიკმა პერსპექტიული პოზიცია მიიღო რიგელ ზ. ლანკასთან, მაგრამ ციტნოტში მოხვდა და დამარცხდა.

ზ. აზმაიფარაშვილმა და მ. ჩიბურდანიძემ თავიანთი პარტიები ზ. ეინგორნთან (რიგა) და ა. ხარიტონოვთან (გორკი) გადადეს. აზმაიფარაშვილმა ინგლისურ დასაწყისში კარგად წარმართა ბრძოლა და პაიკი მოიგო. ჩიბურდანიძემ რთულ სიტუაციაში ლაზიერი და კუ შესწირა ორ ეტლში. პარტია ორმხრივად დაძაბულ პოზიციაში შეწყდა.

ვ. ჩეხოვმა (მოსკოვი) მოუგო ს. ლპუტიანს (ერევანი), ზ. კენგისმა (რიგა)—ა. ივანოვს (ლენინგრადი). ყაიმზე შეთანხმდნენ ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა) — ე. მაგერამოვი (ბაქო) და ლ. ფსიხისი (რსფსრ) —ი. პოლოვოდინი (ლენინგრადი).

გადადებული პარტიების დამთავრებისას აზმაიფარაშვილმა მოუგო ეინგორნსა და მაგერამოვს. ჩიბურდანიძე დაუზავდა ხარიტონოვს. თითო ქულა ჩაიწერეს კენგასმა ბ. გავრიკოვისგან (მოლდავეთი), ზ. ლანკამ — პოლოვოდინისგან, ეინგორნმა — ზაიჩიკისა და ივანოვისგან, ხარიტონოვმა — ლ. იურტაევისგან (ფრუნზე). კენგისი დაუზავდა პოლოვოდინს.

3 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან კენგისი — 2,5 ქულა, აზმაიფარაშვილი, ვლადიმიროვი, ჩეხოვი, ხარიტონოვი, ეინგორნი, ლანკა, ფსახისი —2-2.

საქართველოს დინამოელთა წარმატება

კოსტრომა, 28 იანვარი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური პირველობა, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა.

სპორტსაზოგადოების ჩემპიონის სახელი საქართველოს დინამოელებმა მოიპოვეს—19,5 ქულა 33-დან. II ადგილზე გავიდნენ უზბეკეთის, III — მოსკოვის დინამოელები — 18,5-18,5.

გუნდური ტურნირის შედეგების მიხედვით „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ოსტატობის კანდიდატმა ა. კუზმინმა (მოსკოვი) — 8,5, დიდოსტატმა ე. გუფელდმა (თბილისი), ოსტატებმა ვ. მურატოვმა, ს. კრასნოვმა (ორივე—მოსკოვი), ოსტატობის კანდიდატმა ბ. იტკასმა (მოლდავეთი) — 8-8, ოსტატმა ვ. ეგინმა (უზბეკეთი) — 6,5.

გ. ფამილიანტი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

პირველია თბილისელი ოსტატი

დამთავრდა მოსკოვის მისადგომებთან საბჭოთა არმიის მიერ გერმანელი ფაშისტების განადგურების 38-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე — 8 ოსტატი და 6 ოსტატობის კანდიდატი.

I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა, თბილისელმა ი. ეფიმოვმა და მოსკოველმა ს. კიშინოვმა — 8,5-8,5 ქულა. I ადგილი მიეკუთვნა თბილისელ მოჭადრაკეს, რადგან მან მეტი პარტია მოიგო.

III-V ადგილები გაიყვეს ოსტატმა ა. შვედჩიკოვმა (მოსკოვი), ნ. ლიოგკემ (ოდესა) და ოსტატობის კანდიდატმა ჩ. იაკობაშვილმა (თბილისი)—8-8.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 — 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 — უე 07640